შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (10.034)

23-30 ივლისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის მეურნეობის მინისტრი „შირაქში“

„საუკეთესო მოსავალი არაა, მაგრამ არ ვუჩივით“...

ალოობა დასასრულს უახლოვდება. წელს საქართველო საშუალოდ 200 000 ტონამდე ხორბლისა და ქერის მოსავალს ელის. კვლავ პრობლემად რჩება კომბაინების სიმცირე. მკას დაემთხვა ხშირი წვიმებიც, რამაც პროცესი გააჭიანურა. გახშირებული წვიმების გამო ქერის და ხორბლის აღება ერთად დაიწყო, რამაც ტექნიკის დეფიციტი შექმნა. პრობლემას აღიარებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგიაც, რომელიც გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს სტუმრობდა და ალოობის პროცესში მიიღო მონაწილეობა. მინისტრის მტკიცებით, კომბაინების შესაძენად სააგენტოს თანადაფინანსება 3 მლნ ლარს აღემატება. დედოფლისწყაროელი ფერმერები იმ ფაქტზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ მკვეთრად გაზრდილია საწვავის ფასი, გაძვირდა კომბაინების მომსახურებაც, რამაც მიწათმოქმედებს ხარჯები მნიშვნელოვნად გაუზარდა.

გვალვიანი ზამთრის მიუხედავად, გაზაფხულზე ნალექმა ყანების მდგომარეობა გამოასწორა. პირველი დიდი თოვლი დედოფლისწყაროში სწორედ მარტის შუა რიცხვებში მოვიდა, რამაც ადგილობრივებს იმედი გაუჩინა, რომ მოსავალი გადარჩებოდა. მარცვლეულის ფასით ფერმერები კმაყოფილები არიან და ამბობენ, რომ გაყიდვის პრობლემა არ დგას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ხორბლისა და ქერის საზღვარგარეთ გატანა დროებით აკრძალა, მარცვლეულის გაყიდვა არ უჭირთ. იაფი აგროკრედიტის ეფექტურობაზეც ამახვილებენ ყურადღებას და ამბობენ, რომ მიწათმოსარგებლეებს დაბალპროცენტიანი სესხი ძალიან ეხმარება.

ზურაბ თეთვაძე (ფერმერი): „ბოლო წლებში შირაქის ველზე ბევრი ისეთი მცენარე მხვდება, რაც მანამდე არ ყოფილა და უდაბნოში ხარობს. გლობალურმა დათბობამ დიდი გავლენა იქონია. წლევანდელი ზამთარიც ისე გავიდა, თოვლი არ გვინახავს. ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს. თესვის დრო ოქტომბერია, მაგრამ იმდენად ხშირი ნალექი იყო, დაგვიანდა დათესვა. ყველამ გვიან დაიწყო თესვა, შემდეგ კი მთელი ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი ნალექი არ მოსულა. მარტის შუა რიცხვებში მოვიდა ნალექი და სასწაული მოხდა. ერთი კვირა გადაუღებლად თოვდა და ამან გამოასწორა ყანა, თორემ მოსავალს ვერ მივიღებდით. შემდეგ, ჰერბიციდის შეტანაც ძლივს მოვახერხეთ, ისე ხშირად წვიმდა. საუკეთესო მოსავალი არ არის, მაგრამ არ ვუჩივით. ყველამ კარგი მოსავალი ვერ მიიღო, მაგრამ ვისაც გამოცდილება გვაქვს, უკვე ვიცით, როგორ მივიღოთ მარცვალი. წლების განმავლობაში გამოგვიმუშავდა... ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, აქაც მიწების დასამუშავებლად ბევრი უცხოელი ჩამოდის, ვისთანაც ვამბობ, რომ სახელმწიფო დაბალპროცენტიანი სესხით გვეხმარება, ყველას უკვირს. სხვაგან ასეთი მხარდაჭერა არ არის. ბევრ პერიოდს მოვესწარი, მაგრამ ის ხელშეწყობა, რაც ბოლო წლებში ფერმერებს გვაქვს, არასოდეს ყოფილა“.

ელიზბარ იმერლიშვილი (ფერმერი): „რთული ზამთარი გამოიარა ნათესებმა, წარმოუდგენელი გვალვა იყო. შემოდგომიდან გაზაფხულამდე ნალექი არ მოსულა და იმედი არც გვქონდა მოსავალი თუ იქნებოდა. ვითარება გაზაფხულზე გამოსწორდა. ასე თუ ისე, კმაყოფილი ვართ. მარცვლის ფასის, ბაზრის პრობლემა არ გვაქვს. საშუალო და საშუალოზე უკეთესი მოსავალი მოვიდა. პიკის პერიოდში ტექნიკის სიმცირეც იყო. მოგეხსენებათ, ყველას ერთდროულად უნდა მოსავალი დააბინაოს... რატომღაც ყველას ეჩქარება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ შამუგიამ** გაზეთ „შირაქის“ კითხვებს შირაქის ველზე უპასუხა: „კახეთში აქტიურად მიმდინარეობს მარცვლეულის დაბინავების პროცესი. შემდეგ კი გადავინაცვლებთ შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. პროცესში ჩართულია სახელმწიფოს 80 კომბაინი და ასევე ვიყენებთ კერძო სექტორის ტექნიკასაც. სწორედ ჩვენს მიერ შექმნილი თანადაფინანსების პროგრამით 35 ახალი კომბაინი შეიძინეს კერძო პირებმა, მკის პროცესში ისიც ჩართულია. მიუხედავად ამისა, ეს რაოდენობა საკმარისი მაინც არ არის. საჭიროებებიდან გამომდინარე მომავალ წლებშიც გაგრძელდება კომბაინების თანადაფინანსების პროგრამა, რათა მეტი ტექნიკა შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში. მნიშვნელოვანია, რომ მარცვლეულის დაბინავება შესაბამის ვადებში იყოს შესაძლებელი და კომბაინების არარსებობის გამო გლეხს ხელი არ შეეშალოს.

რაც შეეხება მოსავლიანობის მაჩვენებელს - ცნობილია, რომ შარშან ძალიან კარგი ზრდა დაფიქსირდა, 2021 წელს წინა წლის მონაცემებთან შედარებით ხორბლის მოსავალი 33%-ით გაიზარდა. წელსაც გვაქვს მოლოდინი, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ ჯამურ მონაცემებს. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ადგილობრივ წარმოებას და ჩვენივე პროდუქტის გამოყენებას, სახელმწიფომ აკრძალა მარცვლეულის სხვა ქვეყანაში გატანა. მაგრამ მომავალში კომპლექსური ღონისძიებების გატარება მოგვიწევს, რომ მოსავლიანობა გავზარდოთ და ხელი შევუწყოთ ადგილზე წარმოებას. ამაზე აქტიურად მუშაობს ხელისუფლება და კოორდინაციაშია უცხოელ პარტნიორებთან. სულ ახლახან, პირადად მე, მქონდა სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ საუბარი გვქონდა, რომ კომპლექსური მხარდაჭერა მივიღოთ მათი მხრიდან თესლის წარმოების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა თუ ახალი ტექნიკის შემოყვანის საკითხებში. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული სხვა ქვეყნიდან შემოტანილ მარცვალზე. მითუმეტეს, როცა ჩვენს სამეზობლოში ასეთი ვითარებაა,“ - განუცხადა „შირაქს“ მინისტრმა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას, წელსაც და წინა წელსაც არცერთი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა არ დაგვრჩენია. ალოობა დედოფლისწყაროში თითქმის დასასრულს უახლოვდება, წვიმების სიხშირემ პროცესი გააჭიანურა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქერიც და ხორბალიც, ერთად აღებული, წელს დაახლოებით 30-33 000 ჰექტარზე იყო დათესილი. მოსავლიანობა კარგი გვაქვს, განსაკუთრებით ხორბალი უკეთესია. როდესაც სამინისტროსთან ვსაუბრობთ, არის მოლოდინი, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით 170 000 ტონამდე ხორბლის მოსავალი უნდა მივიღოთ. 70 000 ტონა კი ქერი. რა თქმა უნდა, ამ მოსავლის ჯამურ მაჩვენებელში ლომის წვლილი აქვს კახეთს და მოსავლის ნახევარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე მოდის. ასეთია სტატისტიკური მონაცემები“.

ირაკლი შიოშვილი (კახეთის გუბერნატორი): - „სახელმწიფო როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოემზადა ალოობის პროცესისთვის. რაიმე შეფერხება არ ყოფილა. იყო დიდი მოთხოვნა და რადგან ტექნიკა განსაზღვრული რაოდენობით არის, ჩატარდა სამუშაო თათბირები და შედგა გეგმა, როგორი გრაფიკით უნდა გვემოქმედა. ამ დროისათვის ქერი სრულად დაბინავებულია, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში დასასრულს უახლოვდება მკის პროცესი, ამინდმაც ხელი შეუწყო მოსახლეობას. მოსავლიანობის მაჩვენებელიც კარგია. პრეტენზიები არ ისმის არც გასაღების ბაზრის მოძიებასა და არც მარცვლეულის ფასზე.“

ილია მარტყოფლიშვილი

რეკომენდაციები მშობლებს — როგორ დავიცვათ ბავშვები ზაფხულის ცხელ დღეებში

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი რეკომენდაციებს ავრცელებს, თუ როგორ უნდა დავიცვათ ბავშვები ზაფხულის ცხელ დღეებში.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ზაფხულის ცხელი დღეები უარყოფითად აისახება პატარების ჯანმრთელობაზე, ვინაიდან ძლიერმა სიცხემ შეესაძლოა გამოწვიოს დეჰიდრატაცია, ორგანიზმის გამოფიტვა, კრუნჩხვითი მოვლენები, სისხლის მიმოქცევის მოშლა.

„ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილება, როგორიც შეიძლება იყოს ადრეული ზაფხულის მაღალი ტემპერატურის ტალღა, შეიძლება გახდეს სტრესის მიზეზი ბავშვის ორგანიზმისთვის.

ძლიერმა სიცხემ ბავშვებში შესაძლოა, გამოიწვიოს სხვადასხვა ფორმის დაავადებები. მაქსიმალურად დაიცავით თქვენი ბავშვი ძლიერი სიცხისგან, დააკვირდით მას და საეჭვო სიმპტომების გაჩენისთანავე დაუკავშირდით ექიმს.

ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ ის ბავშვები იმყოფებიან, რომლებსაც აქვთ სუნთქვის გაძნელება (ასთმა), გულ-სისხლძარღვთა და თირკმელების დაავადებები, დიარეა, შეზღუდული გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ თავი აარიდოთ მაღალი სიცხისგან გამოწვეულ გართულებებს :

თუ გაქვთ თერმოსტატის მქონე კონდიციონერი, დააყენეთ მისი მაჩვენებელი კომფორტის დონეზე (დაახლოებით 22^{0}C და 26^{0}C-ს შორის), რაც შეამცირებს ბავშვის ენერგიის დანახარჯს.

მოამზადეთ ისეთი საკვები, რომელიც არ საჭიროებს ღუმელის გამოყენებას; გაატარეთ რამდენიმე საათი თქვენს შვილთან ერთად გრილ ადგილზე. ეს შეიძლება იყოს ხის ჩრდილი, საცურაო აუზი, შადრევანი ან კონდიცირებადი ადგილები - სავაჭრო ცენტრები, მაღაზია ან ბიბლიოთეკა, მეტრო;

ბავშვი აბანავეთ გრილ წყალში მანამ, სანამ არ იგრძნობს თავს ხალისიანად (გამოცოცხლებულად);. ყოველთვის ადევნეთ მას თვალყური აბაზანაში;

გარეთ გასვლა დაგეგმეთ დღის უფრო გრილ პერიოდში;

თუ ხართ ისეთ ადგილზე, სადაც შეინიშნება კოღოების აქტიურობა, დაიცავით კანის თავისუფალი ზედაპირი მწერების საწინააღმდეგო საშუალებებით და მიჰყევით



ამ საშუალების მწარმოებლის ინსტრუქციას;

არასდროს დატოვოთ ბავშვი გაჩერებულ (პარკირებულ) ტრანსპორტში ან მზის სხივების ქვეშ;

დეჰიდრატაცია სახიფათოა. მიეცით ბავშვს სხვადასხვა სითხე, სანამ მოწყურდება“, - აღნიშნავენ დაავადებათა კონტროლის ცენტრში.

„გვჯერა, რომ შექმნილ შესაძლებლობებს საქართველო წარმატებით გამოიყენებს“

მიუხედავად იმისა, რომ წინ არაერთი ბრძოლაა, ჩვენთვის საამაყოა, რომ ვართ ამ ისტორიული მომენტის მომსწრენი და გვჯერა, რომ ამ მომენტით შექმნილ შესაძლებლობებს საქართველო წარმატებით გამოიყენებს, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა გამოსამშვიდობებელ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

როგორც ელჩმა მეუღლესთან ერთად ჩაწერილ ვიდეოში აღნიშნა, არ შეიძლება არ დავაფასოთ ის, რომ ევროკავშირმა საქართველო პოტენციურ მომავალ წევრად ოფიციალურად აღიარა.

„დადგა ის დრო, როდესაც ოთხი დაუვიწყარი წლის შემდეგ საქართველო უნდა დავტოვოთ. ჩვენ ძალიან მადლიერნი ვართ ამ ქვეყანაში გატარებული წლებისთვის. არაჩვეულებრივი იყო ის სითბო და სიკეთე, რომელიც ჩვენ საქართველოს მოქალაქეების, იმ ადამიანების მხრიდან ვიგრძენით, რომლებსაც თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ვხვდებოდით. დიდი მადლობა იმისათვის, რომ საქართველოს ნაწილად გვაქციეთ, იმიტომ, რომ საქართველო ყოველთვის იქნება ჩვენი ნაწილი. საქართველო საოცარი, უნიკალური ქვეყანაა. თქვენ წინაპრების მხრებზე დგახართ, იმ ბუმბერაზების, რომლებმაც იბრძოლეს ამ ქვეყნისთვის, ტრადიციებისთვის, კულტურისთვის, ენისა და მემკვიდრეობისთვის.

გასულ თვეს, ევროკავშირმა დაადასტურა, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აქვს და რომ საქართველო ევროპული ერების ოჯახის წევრია. თქვენ ალბათ იცოდით, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა იყო, ვიცოდი მეც და იცოდა საქართველოს ბევრმა სხვა მეგობარმაც, თუმცა არ შეიძლება არ დავაფასოთ ის, რომ ევროკავშირმა საქართველო პოტენციურ მომავალ წევრად ოფიციალურად აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ წინ არაერთი ბრძოლაა, ჩვენთვის საამაყოა, რომ ვართ ამ ისტორიული მომენტის მომსწრენი და გვჯერა, რომ ამ მომენტით შექმნილ შესაძლებლობებს საქართველო წარმატებით გამოიყენებს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიის მანძილზე არაერთხელ დაამტკიცეთ, რომ უკან დახევას არ ეგუებით, არამედ იმიტომაც, რომ საქართველო ევროპულ საფუძველს ეყრდნობა. საქართველოც იღებდა მონაწილეობას იმ ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რასაც დღეს ევროპულ ღირებულებებს უწოდებენ და ამიტომ, გაქვთ შესაძლებლობა, წვლილი შეიტანოთ ევროპის გაძლიერებაში.

თქვენი ენერგია და სულისკვეთება აღმაფრთოვანებელია და როდესაც დადგება ის დღე, როდესაც მთელი ეს ენერგია ერთი მიზნისკენ იქნება მიმართული, თქვენ ვერავინ და ვერაფერი შეგაჩერებთ. მომავალ შეხვედრამდე, ძალიან დიდი მადლობა, საქართველო, ყველაფრისთვის“, – აღნიშნა კარლ ჰარცელმა გამოსამშვიდობებელ ვიდეომიმართვაში.

დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, მაღალი ტემპერატურის გამო, ტყის ხანძრებს ებრძვიან

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ტყის ხანძრებს ებრძვიან, რის გამოც ათასობით ადამიანის ევაკუაცია გახდა აუცილებელი. უკვე რამდენიმე დღეა გაერთიანებულ სამეფოში ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუს ცელსიუსს აღემატება, რაც ქვეყნისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

საფრანგეთში გასული დღე-ღამის განმავლობაში 64 სხვადასხვა არეალში ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა. ჟირონდას დეპარტამენტში ხანძარი 19 3000 ჰექტარ ტერიტორიას გაუჩნდა, საჭირო გახდა 34 000 ადამიანის ევაკუაცია.

ტემპერატურამ რეკორდულად მოიმატა პორტუგალიაშიც, სადაც ძლიერ სიცხეს სულ მცირე 1 000 ადამიანი ემსხვერპლა.

BBC-ის ინფორმაციით, მაღალი ტემპერატურის გამო ხანძრებს ებრძვიან ესპანეთში, საბერძნეთსა და იტალიაშიც.

აგვისტოდან ქორწინების რიტუალები ძვირდება

პირველი აგვისტოდან ქორწინებასთან დაკავშირებული რიტუალების ღირებულება იზრდება - ამის შესახებ მთავრობამ დადგენილება 18 ივლისს გამოსცა.

კერძოდ, სპეციალური სარიტუალო მომსახურება (ქორწინების რიტუალის საზეიმო ვითარებაში ჩატარება) იუსტიციის სახლის ფილიალში ან საზოგადოებრივ ცენტრში 50 ლარის ნაცვლად 75 ლარი ეღირება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებითვე, ქორწინების საზეიმო ვითარებაში ჩატარება ქორწინების სახლში შაბათს და კვირას - 225 ლარი ეღირება, სხვა დღეებში კი - 135 ლარი. დღეს იგივე მომსახურება შაბათ-კვირას 150 ლარი ღირს, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში 90 ლარი ღირს. სერვისების სააგენტოს ფილიალის გარეთ ქორწინების რეგისტრაცია დღეს 170 ლარი ღირს. აგვისტოდან კი, ამ მომსახურების ფასი 255 ლარი იქნება.

რაც შეეხება გადახდის წესს, მომხმარებელმა, სერვისის საფასური განცხადების შეტანის დღესვე უნდა გადაიხადოს.

თურქეთმა საქართველოს თავდაცვის ძალებს 405 ათასი დოლარის ტექნიკა გადასცა

თურქეთმა საქართველოს თავდაცვის ძალებს ლოგისტიკური ტექნიკა გადასცა. თურქული წარმოების HIDROMEK-ის 8 ერთეული მინი ექსკავატორი-მტვირთავი ტრაქტორის გადაცემის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

„ლოგისტიკური ტექნიკის გადმოცემა 2019 წელს თურქეთის რესპუბლიკასთან ხელმოწერილი სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდა“, - აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს გავრცელებულ ინფორმაციაში.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ ტექნიკის ღირებულება 404,8 ათასი აშშ დოლარია.

„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2019 წელს ხელმოწერილი სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიზნებისთვის 5-წლიან პერიოდში 100 მლნ თურქული ლირის ოდენობის გრანტის გამოყოფას ითვალისწინებს“, - დამატებით აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ლარი დოლართან და ევროსთან მიმართებით გამყარდა

23 ივლისის ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებით კიდევ გამყარდა, შედეგად ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.7986 ლარი გახდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებითაც გამყარდა 2.97 თეთრით, შედეგად ერთი ევროს ოფიციალური ღირებულება 2.8456 ლარი გახდა. 2.46-თეთრიანი გამყარებაა ბრიტანულ გირვანქა სტერლინგთანაც, რომლის ღირებულებამ 3.3748 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება თურქულ ლირას, მასთან მიმართებით, გამყარებამ 0.06 თეთრი შეადგინა, ლირის გაცვლითი კურსი კი 16.03 თეთრი გახდა.

საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.

საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს. სხდომაზე ცვლილება შევიდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში. ასევე ცვლილება შევიდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“ 03.12.2021 წლის №37 განკარგულებაში .

საკრებულოს გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის №46 განკარგულებაში.

სამუშაო შეხვედრა გუბერნატორთან

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი შიოშვილმა გურჯაანში, მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი გასვლითი, სამუშაო შეხვედრა გამართა.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში რეგიონში მიმდინარე საკითხების განხილვის შემდეგ, ინდივიდუალური შეხვედრები გაიმართა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინასისტთა ასოციაციის ხელმძღვანელ, დავით ხოსრუაშვილთან, ჰარმონიზაციის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ირმა გელანტიასა და ენერგოომბუდსმენ, სალომე ვარდიაშვილთან.

უწყებების წარმომადგენლებმა ინდივიდუალური პრეზენტაციები წარუდგინეს რეგიონის წარმომადგენლებს.

მხარეებმა იმსჯელეს თითოეული მიმართულებით, რეგიონში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ და სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

მერებთან და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრას კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები და სამსახურის უფროსები ესწრებოდნენ.

მთავრობამ კახეთის ახალი მაგისტრალის ასაშენებლად მიწის ექსპროპრიაციის განკარგულება გამოსცა

საქართველოს მთავრობა კახეთში ახალ 4-ზოლიან მაგისტრალს აშენებს. პროექტისთვის 538 მილიონი ლარის ღირებულების სამი კონტრაქტი უკვე გაფორმებულია, რაც საგარეჯომდე 35.2 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთის მშენებლობას ითვალისწინებს.

რამდენიმე დღის წინ ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ამ გზის შემდეგი 17-კილომეტრიანი მონაკვეთისთვის 295 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი გამოაცხადა, რომელმაც მაგისტრალი საგარეჯოდან ბადიაურამდე უნდა გააგრძელოს.

პარალელურად, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომელიც ამ გზისთვის საჭირო ტერიტორიის შესაძენად მიწების ექსპროპრიაციას გულისხმობს.

ბრძანების თანახმად, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ვერ მიაღწია მოლაპარაკებას კონკრეტულ მიწის მესაკუთრეებთან, რის გამოც, სახელმწიფო მათ უძრავ ქონებას ექსპოპრეაციის გზით მიიღებს. საუბარია 2,875 კვადრატული მეტრის უძრავი ნაკვეთის ექსპროპრიაციაზე.

კახეთის მიმართულებით ახალი მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით უკვე არსებული კონტრაქტები ასე ნაწილდება:

1) თბილისი-ვაზიანის შემოვლითი 3.7 კილომეტრის სიგრძის მშენებლობის ტენდერში კომპანია **New Road**-მა გაიმარჯვა, რომელიც პროექტს 64 მილიონ ლარად ააშენებს.

2) ვაზიანი-საგარეჯოს 23.8-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის ტენდერში გამარჯვებულია ჩჰინა ღოად ანდ **Bridge Corporation**-ი, რომელიც პროექტს 313.4 მილიონ ლარად ააშენებს, შესაბამისად, ერთი კილომეტრის გზის მშენებლობა ბიუჯეტს 13.2 მილიონი ლარი დაუჯდება. ამ ლოტის მშენებლობა 30 თვეში უნდა დასრულდეს.

3) საგარეჯოს შემოვლითი გზის 7.66 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთის მშენებლობის ტენდერში გამარჯვებულია Gocay Insaat Taahhut ve Ticaret-ისა და „მაქრო ქონსთრაქშენის” კონსორციუმი, რომელიც პროექტს 149.9 მილიონად ააშენებს. შესაბამისად, ერთი კილომეტრი გზის მშენებლობა ბიუჯეტს 19.6 მილიონი ლარი დაუჯდება. ამ ლოტის მშენებლობა 24 თვეში უნდა დასრულდეს.

განახლებადი ენერგიის სფეროში სპეციალისტები გადამზადდებიან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მომავალი სასწავლო წლიდან, პირველად საქართველოში, განახლებადი ენერგიის მიმართულებით სპეციალისტების გადამზადებას უზრუნველყოფს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს.

სტუ-ის ცნობით, განახლებადი ენერგიის მიმართულებით, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროგრამის - „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების **(GIZ),** კომპანია „ჰელიოსენერჯის“ და პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერითა და მათთან თანამშრომლობით განახორციელა.

როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე აცხადებენ, ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მემონტაჟეთა გადამზადების მიმართულებით, ოთხი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა: მზის თერმული სისტემების მონტაჟი; მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი; ზედაპირული გეოთერმული და თბური ტუმბოების სისტემების მონტაჟი; მცირემასშტაბიანი ბიომასის ბოილერებისა და ღუმელების მონტაჟი.

სტუ-ის ოთხივე ახალმა პროფესიულმა პროგრამამ ავტორიზაცია წარმატებით გაიარა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ლენა შატაკიშვილის განცხადებით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის სფეროში გადამზადების პროგრამების არსებობა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კი იქნება პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ამ მიმართულებით სპეციალისტებს გადაამზადებს.

როგორც დეკანი აღნიშნავს, გარდა ამისა, ფაკულტეტმა რეაკრედიტაციის მიზნით, პარტნიორ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მოდიფიცირებული საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოამზადა და 7-წლიანი აკრედიტაცია მოიპოვა.

„მნიშვნელოვანია, რომ განახლებადი ენერგიის მიმართულებით ოთხივე ახალმა პროფესიულმა პროგრამამ უკვე წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და უნივერსიტეტი მსმენელების მიღებას მომავალი სასწავლო წლიდან აქტიურად დაიწყებს. შედეგად, შრომით ბაზარზე შესაძლებელი გახდება სერტიფიცირებული სპეციალისტების არსებობა და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს შექმნა, რითაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეეწყობა ხელი. ასევე, წარმატებით დასრულდა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირების პროცესი და სასიხარულოა, რომ პროგრამამ 7-წლიანი აკრედიტაცია მოიპოვა. რეაკრედიტაციისთვის, მოსამზადებელ ეტაპზე, პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული იყვნენ ისეთი დამსაქმებლები, როგორიცაა: **„USAID**-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში“, „მონტაჟ-ჯორჯია“ და „პარვუს-ჯგუფის“ წამომადგენლები. უშუალოდ მათი მონაწილეობით შეიქმნა რამდენიმე ახალი სილაბუსი, რამაც პროგრამას მეტი დატვირთვა შესძინა. აღსანიშნავია, რომ ეს წინგადადგმული დიდი ნაბიჯია **ABET** აკრედიტიციისთვის“, - აცხადებს ლენა შატაკიშვილი.

სტუ-ის ინფორმაციით, ენერგეტიკის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, არაერთ ღონისძიებაში მონაწილეობენ. ამ მიზნით, ფაკულტეტის წარმომადგენლები ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის დირექტორატს შეხვდნენ.

„ჩვენი ფაკულტეტისთვის, ონლაინ სწავლების მიუხედავად, გასული სასწავლო წელი მრავალმხრივ წარმატებული აღმოჩნდა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტექნიკური და ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის დირექტორატთან ერთად, საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული ერთობლივი პროგრამების განხორციელებაში. ამჟამად, ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩვენი უნივერსიტეტის ოთხი სტუდენტი სწავლობს. გარდა ამისა, ძლიერ მოტივაციას გვიქმნის სტუდენტთა წარმატების ისტორიები.

ფაკულტეტს ჰყავს მდგრადი ენერგეტიკის ევროპული კვირეულის ონლაინ კონფერენციის გამარჯვებული სტუდენტები: გრან პრის მფლობელი, მე-2 კურსელი მაგისტრანტი სოსო მინდიაშვილი - მოხსენებით ,,მწვანე მაინინგი'' და მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი, მე-3 კურსელი ბაკალავრი თეონა ბურდიაშვილი - მოხსენებით ,,მწვანე წყალბადი“. ასევე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები: დოქტორანტი შოთა კოჩაძე, მაგისტრანტი ბიძინა აბრამაშვილი და ბაკალავრი ვათა ფირფილაშვილი ფასიანი პრიზებითა და სერთიფიკატებით დააჯილდოვა. ჩვენი მაგისტრანტი ლაშა ხუბაშვილი, ბრიტანეთის საბჭოს მიერ მხარდაჭერილი მასშტაბური საერთაშორისო კონკურსის, Big Idea Challenge-ის ეროვნულ დონეზე გამარჯვებულია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ოთხ პროფესორს კი ევროკავშირის საერთაშორისო ექსპერტის წოდება მიენიჭა“, - აცხადებს სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი ლენა შატაკიშვილი, რომელმაც 2021-2022 სასწავლო წელი შეაჯამა.

„ყოველთვის აკეთეთ ის საქმე, რაც ბედნიერებას მოგანიჭებთ“

***რამდენიმე კვირის წინ ერთ ძალიან საინტერესო ღონისძიებას ვესწრებოდი. კარგი გარემო და საოცრად თბილი ადამიანები კი, მის ეფექტს უფრო აძლიერებდა. თუმცა, ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, იმ თვალებმოციმციმე, ყვავილებივით გოგონების და მათი საოცრად თბილი, გულისხმიერი პედაგოგის გაცნობა, რომელთაც მთელი საღამოს განმავლობაში დადებითი მუხტი და ენერგია მიჰქონდათ დამსწრე საზოგადოებამდე. ამ სტატიაში სწორედ მათ, ცეკვის სტუდია „ვარსკვლავების“ მოცეკვავეებს და ქორეოგრაფ** ნათია ცინცაძეს **გაგაცნობთ.**

ნათიამ ცეკვა 11 წლის ასაკიდან დაიწყო. ფაქტობრივად, მთელი ცხოვრებაა ცეკვავს და მისი ცხოვრების გზის დასაწყისშიც, პარალელურ საქმედ, სწორედ ცეკვა აირჩია. სტუდია „თელაში“ გაიარა სპეციალური მომზადება, შედგა როგორც სერტიფიცირებული მასწავლებელი და ბავშვებთან მუშაობის უფლებაც მოიპოვა. ნათია სწორედ მისი და ცეკვის კავშირზე, ბავშვებთან ურთიერთობაზე, პედაგოგიური საქმიანობის დეტალებზე და წარმატებისკენ მიმავალ პროცესზე გვესაუბრა. ის, თუ რა გეგმები და მოლოდინები აქვს მას და მის „ვარსკვლავებს“, ამას სტატიაში გაიგებთ.

– მე 1985 წლის 1 აგვისტოს დავიბადე. წარმოშობით ურეკიდან ვარ. სკოლის ასაკიდან დავდიოდი როგორც ქართულ, ისე თანამედროვე და სპორტულ ცეკვებზე. არ მახსოვს ჩემს ცხოვრებაში დღე ცეკვის გარეშე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და ამავდროულად, სხვადასხვა სტუდიაში, ვეუფლებოდი ცეკვის ხელოვნებას. ექვსი წლის წინ, როცა ამ მუნიციპალიტეტში ჩამოვედი, უკვე თამამად შემეძლო ჩემი ცოდნა და გამოცდილება სხვებისთვის გამეზიარებინა.

– ცეკვის სტუდია „ვარსკვლავების“ უამრავი გამოსვლა უნახავს ჩვენს საზოგადოებას. როგორ შეიქმნა ამ უსაყვარლესი გოგონებისგან, ეს, ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი გუნდი?

- თავიდან ჩემი შვილის კლასელების მომზადება დავიწყე. მინდა გითხრათ, რომ გამოცა ბავშვების მიდგომამ ცეკვის თითოეული ილეთის მიმართ. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ამ ბავშვების ნიჭი და მონდომება მაყურებლამდე აუცილებლად უნდა მიმეტანა. მიზნად დავისახე ამ მუნიციპალიტეტისთვის მეჩვენებინა, რამდენი კარგი, საინტერესო და სასარგებლო საქმის კეთება შეუძლიათ ამ ბავშვებს. ძალიან მალე, ჩვენი პატარა „ოჯახის“ წევრების რიცხვი გაიზარდა და დღეს ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ, ნამდვილი „ვარსკვლავები“ გვყავს ამ მუნიციპალიტეტში.

– რამდენი აღსაზრდელი ჰყავს დღეს სტუდიას? არის თუ არა ასაკობრივი ზღვარი? სწავლა ფასიანია თუ უფასო?

– ჩვენს სტუდიაში უკვე 40 ბავშვი ცეკვავს. მისაღები ასაკი 5-დან 15 წლამდეა. ამიტომ, ასაკის შესაბამისად, ბავშვები დაყოფილია ორ ასაკობრივ ჯგუფად. რაც შეეხება სწავლას: თავიდან სტუდიაში სწავლა ორი წელი იყო უფასო, ახლა გადასახადი შეადგენს 20 ლარს.

– ვოლტერს აქვს ასეთი გამონათქვამი: „წავიკითხოთ და ვიცეკვოთ. ეს ორი რამ არასდროს მოუტანს ზიანს მსოფლიოსო“. გარდა ამისა, ნიცშე ამბობდა, რომ „დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ის დღეები, როდესაც არ გვიცეკვიაო“. რა არის თქვენთის ცეკვა? როგორ იპოვნეთ თქვენი თავი ამ საქმიანობაში? რამხელა ადგილს იკავებს ის თქვენს ცხოვრებაში?

– ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ცეკვა კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ქმნილებაა, ფენომენია. კულტურაში მას აქვს სიმბოლური და წარმოდგენითი მნიშვნელობა. ჩემს ცხოვრებაში ცეკვა პატარა ასაკიდანვე გაჩნდა და შესაბამისად, მისი მნიშვნელობის გააზრებაც ამ ასაკიდანვე დავიწყე. ვეთანხმები იმ აზრს, რომ, ძალიან მოსაწყენია მათთვის ცხოვრება, ვინც არ ცეკვავს. ცეკვა არის სულის ფარული ენა, რომლითაც სათქმელს, მეტყველების გარეშე, სხეულით უფრო უკეთ გადმოსცემ. ამის არ დანახვა, უბრალოდ, წარმოუდგენელია. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ცეკვა დიდ, გამორჩეულ და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩემს ცხოვრებაში.

- როგორც ახსენე, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს ასწავლი და გიწევს მათთან ინდივიდუალური მუშაობა. ერთია იყო მოცეკვავე და მეორეა - იყო პედაგოგი. იყო თუ არა სირთულეები ამ გზაზე და რამდენად გაგიმარტივდათ ან გაგიჭირდათ, თქვენი უნარ-ჩვევების გადაცემა ბავშვებისთვის?

- ნებისმიერ პროცესს ახლავს გარკვეული სირთულე, ეს ბუნებრივია, მაგრამ, როცა შენი საქმე გიყვარს და თითოეულ მოსულ ბავშვს შვილივით იღებ, ანალოგიური სიყვარული გიბრუნდება უკან და ყველაფერი გაცილებით მარტივი ხდება. მარტო ბავშვებისგან არა, მშობლებიც ჩართულნი არიან ერთმანეთის პატივისცემის, სითბოსა და სიყვარულის გაცემაში. ეს ერთ მუშტად შეკრული ოჯახია და ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა ამ ყველაფერში ცოტაოდენი წვლილი რომ მიმიძღვის. ხშირად ყოფილა მშობელს მოუყვანია ბავშვი და უთქვამს: ცოტა მორცხვია, არ ვიცი შეძლებს თუ არა, და ა.შ ამაზე სულ სასიამოვნოდ მეღიმება და ჩემი პასუხია ყოველთვის ასეთია: „ცოტა ხანში ვერ იცნობთ თქვენს

შვილს“. და ასეც არის...მორცხვად მოსული ბავშვები დღეს ჩვენს სტუდიაში „დაფრინავენ“.

– ნებისმიერი ადამიანი შეამჩნევდა ბავშვების თქვენდამი სიყვარულს. როგორ გგონიათ, რით მიიღწევა მათი ეს სიყვარული და თბილი დამოკიდებულება ? ბავშვების გულებამდე, მათი სითბოსა და სიყვარულის მოპოვებისთვის, სად გადის გზა?

– ეს ზუსტად ის კითხვაა, ყველაზე და ყველაფერზე მაღლა რომ დგას...ბავშვების სიყვარული ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, მათი ბედნიერი და გაბრწყინებული თვალების დანახვა სცენაზე, ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმულია. მაყურებლისგან აპლოდისმენტები და სცენამდე ურთიერთობა, კი საერთოდ ზეაღმატებულია. ეს უკვე ნიშნავს, იმას, რომ შრომამ შედეგი გამოიღო. ვფიქრობ, ჩემი მათდამი სიყვარულიც ყველასთვის შესამჩნევია. ზოგჯერ მკაცრიც ვარ, თუმცა ეს არასდროს სცდება იმ ზღვარს, რაც ბავშვებზე იმოქმედებს. მაგრამ, ვიტყოდი, რომ ჩვენ, უპირველესად, ძალიან კარგი მეგობრები ვართ და მათ გულებამდე გზა სწორედ მეგობრობაზე გადის. მე ყოველთვის ვითვალისწინებ მათ აზრს. ისინი ჩემი სახლის ხშირი სტუმრები არიან. ვიტყვი იმასაც, რომ ოქროს შუალედი რთული მისაღწევია ბავშვებთან ურთიერთობისას, მაგრამ, პედაგოგის მუშაობის პრინციპი ისე უნდა იყოს აგებული, რომ შეძლოს ინდივიდუალური მუშაობა. ძალიან საინტერესოა მათთან კომუნიკაცია. ზოგადად კი, დისციპლინა მთავარია ხარისხიანი შედეგისთვის და ასევე მოცეკვავის პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ბავშვებმა იმდენად კარგად გაიგეს ჩემი ხასიათი, რომ მათაც ესმით, ჩემი სიმკაცრე მხოლოდ სასიკეთოდ წაადგებათ.

- რა არის მთავარი წარმატების მისაღწევად?

- წარმატების მისაღწევად მარტო ნიჭის, მონდომების და მიზანდასახულობის გარდა, ადამიანების გვერდით დგომაც ყოფილა საჭირო. . თავიდან, ქ-ნი ნონა ჯიბღაშვილის ხელმძღვანელობის დროს, დადგნენ ჩემი ბავშვები სცენაზე და დღემდე ის ჩვენს გვერდით დგას. გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის ცენტრს, სადაც ყველანაირი პირობა შეგვიქმნეს იმისთვის, რომ ბავშვებს კომფორტულად ეგრძნოთ თავი. კიდევ ბევრი ადამიანია, ვისთვისაც გულით მინდა მადლობის გადახდა. თუნდაც მხოლოდ გულშემატკივრობისთვის. უღრმესი მადლობა ყველას, ვისაც ამ ბავშვების განვითარებაში მცირეოდენი წვლილი მაინც მიუძღვის.

– თქვენს სამომავლო გეგმებზეც რომ ვისაუბროთ. რას გეგმავთ ახლო მომავალში?

– ჩვენი სამომავლო გეგმები დიდია. ამჟამად, 2 აგვისტოს - „ელიაობისთვის“ ვემზადებით, შემდეგ დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა. ზაფხულში კი, ზღვისპირეთში ფესტივალები გველოდება. ბავშვები მოუთმენლად ელოდებიან მომავალ ზაფხულს. წელს სამწუხაროდ ვერ მოხერხდა, მაგრამ მომავალში აუცილებლად ექნებათ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

- რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს თქვენი გუნდი? არის თუ არა რაიმე, რის გამოსწორებასაც ისურვებით?

- ვერ ვიტყვი, რომ რაიმე გამოსასწორებელია. ზამთარშიც კი კულტურის ცენტრის თბილ დარბაზში უტარდებათ ბავშვებს რეპეტიციები. ახლაც, აქტიურად ვმეცადინეობთ დროის შეზღუდვის გარეშე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

- რას ეტყვით იმ ბავშვებს, რომლებსაც საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებათ, ვერ გაუბედავთ თამამი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ აქვთ სურვილი იცეკვონ?

- ძალიან მინდა, ყველა ბავშვის თვალებში ვხედავდე იმ სიხარულს, რასაც ჩემი ბავშვების თვალებში ვხედავ. და თუ მომეცემა ამის საშუალება, ხმა მივაწვდინო ბავშვების იმ ნაწილს,ვისაც ვერ გაუბედავს ამ საოცარ, ფერად და ლაღ სამყაროში შემოსვლა, მაშინ ხმამაღლა ვიტყვი: ყოველთვის აკეთეთ ის საქმე, რაც ბედნიერებას მოგანიჭებთ, და თუ ეს ცეკვაა – „იცეკვეთ“.

გაზეთი „შირაქი“ უამრავ წარმატებას უსურვებს „ვარსკვლავებს“ და მათ ქორეოგრაფს. ვუსურვებთ, კიდევ უამრავი ბავშვის თვალებში აენთოთ სიხარულის ის ნაპერწკალი, რომლის ანთებაც მხოლოდ ცეკვას შეუძლია.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

როგორ ვითანამშრომლოთ ბუნებასთან

კლიმატის ცვლილება და მისი მოსალოდნელი შედეგები დედამიწის მცხოვრებთათვის ახალი აღარაა. ადამიანის მტაცებლურმა და მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ ბუნებრივი კატასტროფები სულ უფრო თვალსაჩინო გახადა. ამ პროცესებში თავისი წილი აქვს ინდუსტრიულ სოფლის მეურნეობასაც.

ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის საძმიანოების შედეგად, დედამიწის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით ნახევარი იმდენად გადაგვარდა, რომ მასზე მოსავლის მოყვანა უკვე შეუძლებელია. გაეროს მონაცემების თანახმად, ყოველწლიურად, სულ ცოტა, 12 მილიონი ჰექტარი მიწა დეგრადირდება ანუ, ფაქტობრივად, კვდება. თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის კაცობრიობას მასობრივი შიმშილი ელის.

ამ კატასტროფული მოვლენების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალებაა რეგენერაციული აგროკულტურა. შეიძლება ითქვას, რომ ესაა მიდგომა, რომელიც თავის მთავარ მიზნად ისახავს ნიადაგის გაცოცხლებას, გაჯანსაღებას, დაცვას, ეკოსისტემების შექმნას, ეკოლოგიური პროცესების მნიშვნელობის გააზრებას და ამ პროცესების რეალურ, ქმედით მხარდაჭერას.

18 ივლისს რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა ზემო ქედის N2 საჯარო სკოლაში. 4- თვიანი პროფესიული სასწავლო კურსის წარმატებით გავლისათვის 22 მსმენელს შესაბამისი სერთიფიკატი გადაეცა.

ამავე პრეზენტაციაზე შედგა პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნის „რეგენერაციული აგროკულტურის“ სახელმძღვანელოს წარდგენაც, რომლის ავტორია ბატონი გია რაზმაძე. წიგნი დაისტამბა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგში“.

მაგდა ძაჯაია, **პროექტის მენეჯერი:** „პროექტის ფარგლებში არხილოსკალოში საგანმანათლებლო ცენტრი შეიქმნა, სადაც გადამზადდა 22 ადამიანი. მათ მიიღეს შესაბამისი ცოდნა რეგენერაციული აგროკულტურის განვითარების კუთხით. მიწის დამუშავების ეს მეთოდი გულისხმობს სრულიად არა ქიმიურ, ბიოლოგიურ მეთოდებს და განკუთვნილია საოჯახო და ფერმერული მეურნეობებისთვის. ჩვენ გვყავდა 22 სტუდენტი, მათ შორის 11 იყო ადგილობრივი და ყველა მათგანი იყო ქალი. მივესალმებით იმას, რომ ჩვენ შევძელით, ეს სიახლე შემოგვეტანა ისეთ რთულ რეგიონში, სადაც არის კლიმატის ცვლილების ნიშნები: არის გაუდაბნოების პრობლემა, არ არის წყალი. სიღარიბის დაძლევის ამოცანაც საკმაოდ მწვავედ დგას, ამიტომ ჩვენი მიზანია,რომ ის გამოცდილება, რომელიც ამ რეგიონში დავტოვეთ, მომავალში გახდეს ამ ოჯახებში შემოსავლის წყარო. იმიტომ რომ, როგორც მოგეხსენებათ, ბიოლოგიური მეთოდებით მოყვანილ პროდუქციაზე დღეს მოთხოვნა ნამდვილად არის და ფასიც საკმაოდ მაღალია. ამიტომ ეს არის შანსი ამ ოჯახებისთვის, გადაერთონ მთლიანად ბიოლოგიური პროდუქტების მოყვანაზე და დამატებითი ეკონომიკური სარგებელი მოუტანონ თავიანთ ოჯახებს“.

თამარ ნებიერიძე, **ზემო ქედის N2 სკოლის დირექტორი:** „ბევრჯერ ვცადეთ სკოლის ეზოს გამწვანება, სანერგეს მოწყობა, მაგრამ არაფერმა გაამართლა. ამ პროექტში ჩართვის შემდეგ და გია რაზმაძის კონსულტაციების საფუძველზე შევძელით სანერგეს მოწყობა. ვფიქრობთ, რომ ჩვენს სკოლაში დავნერგოთ რეგენერაციული აგროკულტურის პრაქტიკა“.

შორენა შავერდაშვილი, **გამომცემლობა „სეზანის“ ხელმძღვანელი:** „ჩვენ თავიდანვე ავინთეთ ამ იდეით, რასაც ბიოლოგიური მეთოდებით სოფლის მეურნეობა ჰქვია. ბატონი გია რაზმაძე არის ადამიანი, რომელიც არის ნამდვილი პატრიოტი. მან კარგად იცის თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზებს მუდმივად ეძებს. ეს წიგნიც ამისი ნათელი მაგალითია. ძალიან მიხარია, რომ დავიწყეთ ეს პრაქტიკა და იმედი მაქვს, ეს წიგნები ხელს შეუწყობს მათ, ვინც დიდი ხანია დაკავებულია სოფლის მეურნეობით და ეწევა ფერმერობას, და ასევე მათთვის, ვინც თავის აგარაკსა თუ სოფლის ნაკვეთზე ახლა იწყებს მცენარეების გამრავლებას და მოსავლის მოყვანას. ასევე, ვისაც აწუხებს ეკოლოგიური პრობლემატიკა, ვინც ცდილობს ახალი გზები იპოვნოს, ნოვატორული მეთოდები გამონახოს, რათა თავი დავაღწიოთ მოსალოდნელ, მოახლოებულ კატასტროფულ მოვლენებს. ეს ძალიან სასარგებლო საქმეა, არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისთვის“.

წიგნში აღწერილია პრინციპები და მეთოდები, რომლებიც ადამიანს საშუალებას მისცემს, საკუთარ მეურნეობაში ბუნებრივი, მდგრადი ეკოსისტემა თავის ხელით შექმნას. ავტორი ამ პრინციპებსა და მეთოდებს არა მხოლოდ გარეგნულად აღწერს, არამედ მათი მოქმედების შინაგან მექანიზმებსაც განმარტავს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. წიგნი გასწავლის, როგორ შექმნა მეგობრული ეკოსისტემა, როგორ ათანამშრომლოცხოველები და სხვადასხვა მცენარეები ერთმანეთთან ისე, რომ სარგებელი ნახოს ადამიანმაც და ბუნებამაც. თან ეს ყველაფერი მოახერხო ნაკლები დანახარჯებით და მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღების პერსპექტივით.

რატი კოზერიძე, **პროექტის მონაწილე:** „ამ პროექტისა და ოთხთვიანი კურსების წყალობით, შემეცვალა ხედვა სოფლის მეურნეობაში მიწის დამუშავების საკითხებთან დაკავშირებით. აქ გავიგე, როგორ უნდა ეთანამშრომლო მიწას და ყველა მცენარეს. მოკლედ, სწავლების შედეგად ვუბრუნდები მიწას შეცვლილი ხედვებით და ნამდვილი, ნატურალური მეთოდებით“.

ნელი წიკლაური, **არხილოსკალოს „ცოდნის სახლის“ ხელმძღვანელი:** „ვებრძოდით მიწას, ვებრძოდით მცენარეებს, ბალახს და გვეგონა ეს რეალური,რადგან ასე ვიცოდით ჩვენი მეზობლებისგან, ახლობლებისგან. ვბაძავდი ყველას-როგორც ისინი შრომობდნენ, ისე ვშრომობდი მეც, მაგრამ, შედეგს ვერ ვაღწევდი. შემდეგ, გიას ლექციებმა დამარწმუნა,რომ ბალახს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ბალახს უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ბუნებასთან მეგობრობა არ ნიშნავს მასთან ბრძოლას. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი აღწერილი იყო იაპონელი მეცნიერის ფუკუოკას წიგნში. ეს წიგნი არ არსებობდა ქართულ ენაზე, ამიტომ ყველაფრის დეტალურად გაგება უცხო ენაზე შეუძლებელი იყო. ირაკლი ლომოურმა ამ წიგნის თარგმნით ხელმისაწვდომი გახადა ამ ინფორმაციების ჩემამდე მოტანა, მერე კი დაიწყო ეს პროექტიც, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა რეალობად გვექცია წიგნში წაკითხული.

პესტიციდები, ტექნიკა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მიწის დამუშავებისას, სინამდვილეში ანადგურებს ჩვენს ბუნებას, შემდეგში ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება ჩვენზე და ჩვენს მომავალზე.

ახლა ვარ ბედნიერი,რადგან ვიცი, როგორ მოვუარო მიწას ისე, რომ არ დავაზიანო ბუნება და ვიმეგობრო დედამიწასთან.“

გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, პროექტი „რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის ინსტიტუციური განვითარება არხილოსკალოში“ განხორციელდა, რაც გულისხმობდა სოფელ არხილოსკალოში ,,ცოდნის სახლის“ ბაზაზე, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრის შექმნას, ინტენსიური ტრენინგების ჩატარებასა და სერტიფიცირებული აგრონომიული განათლების სპეციალისტების მომზადებას.

პროექტის მიზანი იყო, პოპულარიზაცია გაეწია რეგენერაციული აგროკულტურისთვის და გარემოსდაცვითი მიდგომებისთვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ასევე ხელი შეეწყო ფერმერებისა და საოჯახო მეურნეობების გაძლიერებისთვის საჭირო უნარებითა და ცოდნით.

პროექტს ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი“ - CRA, რომლის პარტნიორია ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შექმნილი დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი.

შერჩეულმა პირებმა უფასოდ გაიარეს სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს, მათ შორის მცირე სანერგე მეურნეობისა და სადემონსტრაციო ნაკვეთის ერთობლივ შექმნას. კურსდამთავრებულებმა მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები. პროექტის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ფერმერებსა თუ შინამეურნეობაში ჩართულ ქალებსა და ახალგაზრდებს.

ინგა შიოლაშვილი

„კეთილი გულით მიძღვნილი“...

ქველმოქმედება სასიამოვნო აქტია არა მარტო მათთვის, ვისაც ეხმარებიან, არამედ მათთვისაც, ვინც ეხმარება. თუ ერთხელ მაინც განიცადე შენგან გაკეთებული სიკეთის სიხარული, ბედნიერი ხარ.

ასეთი სიხარული კი ბევრჯერ განუცდია ქალბატონ ნაზი მოსაშვილს. მართალია, მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ, სწორედ იქ შეიგრძნო „ერთი თხილის გულის გაყოფის“ დიდი სიხარული. და მოდის ასე მისი ცხოვრება, აგერ, უკვე რვა ათეულ წელზე მეტია. ძველებს ნაზი მოსაშვილი წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის საქმის მწარმოებლის პოზიციიდან გვახსოვს. უყვარდა პედკოლექტივს, ადმინისტრაციას, მოსწავლეებს - ყველას ჭირის მალამო და ლხინის გამზიარებელი იყო. საშუალო თაობას ის საქალაქო საბჭოს მდივნად ახსოვს. თითები არ ეყოფა, იმდენი თავმჯდომარე გამოიცვალა და ყველასთან კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინარჩუნებდა. ახალგაზრდებმა ის ქალაქის საკრებულოში გაიცნეს. ხანგრძლივი შრომითი საქმიანობის განმავლობაში მან საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა და რამდენიმე წელია, დამსახურებულ პენსიაზეა. კარგი შვილი გაზარდა ილიკო ბიკაშვილი, ოჯახთან ერთად, დედაქალაქში ცხოვრობს, წარმატებული ბიზნესი აქვს, ჰყავს მეუღლე, თიკა ჭავჭანიძე და ორი შვილი – ნია და ალექსანდრე. მანძილი არ უშლის ხელს, იყოს კარგი, მზრუნველი შვილი და მისხალ-მისხალ დააფასოს დედის ამაგი. მადლობა უფალს, დღევანდელი ტექნოლოგიების წყალობით, ყოველდღიური კონტაქტი გაიოლებულია და ნაზის ტელეფონიც დილა-საღამოს წკრიალებს, რათა „ანგარიში ჩააბაროს შვილს“, როგორ ჩაიარა ღამემ თუ დღემ.

რამდენიმე წლის წინ ჩვენი გაზეთის საშუალებით გაცნობეთ, რომ ქალბატონმა ნაზიმ ვახტანგ გორგასალის სახელობის საპატრიარქოს სკოლას მის საკუთრებაში არსებული პიანინო, ასე უბრალოდ, უანგაროდ გამოიტანა სახლიდან და აჩუქა, რადგან სკოლას ინსტრუმენტი არ ჰქონდა და ხელი ეშლებოდათ ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში.

დედას არც შვილი ჩამორჩება ქველმოქმედებაში: ხშირად მოიკითხავს ხოლმე თავისი რაიონის გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს დღესასწაულებზე და ამას ისე, ჩვეულებრივ და უხმაუროდ აკეთებს (ვიცი ახლაც არ მოეწონება, რომ გავამხილე).

სულ რამდენიმე დღის წინ კი ქალბატონმა ნაზიმ სოფელ მირზაანის ბიბლიოთეკას ორასამდე წიგნი გადასცა.

– მთელი ცხოვრება გაზეთ „შირაქის“ ერთგული მკითხველი და გამომწერი ვარ. სწორედ გაზეთიდან შევიტყე, რომ სოფელ მირზაანში ფუნქციონირება განაახლა ბიბლიოთეკამ, რომელიც წლების განმავლობაში, ფართის უქონლობის გამო, ვერ ფუნქციონირებდა სრულყოფილად და ბიბლიოთეკარი შორენა წიკლაური სახლიდან ემსახურებოდა მკითხველს. გამიჩნდა სურვილი, ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკიდან, გარკვეული რაოდენობის წიგნი მეჩუქებინა მათთვის. ძირითადი საფუძველი ამ ქველმოქმედებისა კი ის გახლავთ, რომ ჩემი მეუღლე, ვანო ბიკაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მირზაანელი იყო. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი სოფელი და ამაყობდა კიდეც. სწორედ მის ხსოვნას და პატივისცემას დავუკავშირე ეს შენაწირი. ვიცი, ცოცხალი რომ იყოს, ძალიან გაუხარდებოდა. წიგნების გარკვეული ნაწილი მისი შეძენილია. ძალიან გონიერი და ნიჭიერი ადამიანი იყო და ძალიან უყვარდა კითხვა. ამიტომ გადავწყვიტე ეს საქმე ასე,“ – ამბობს ქალბატონი ნაზი.

* * *

ცოტა რამ ბიკაშვილების შესახებ

მირზაანში ყველა იცნობდა და აფასებდა ილია და მარუსა ბიკაშვილების ოჯახს. თავის დროისთვის განათლებული კაცი იყო ილია. წლების განმავლობაში ის ამ სოფლის კოლმეურნეობას ედგა სათავეში, მერეც სულ თანამდებობებზე მუშაობდა – ხან ფერმის გამგე იყო, ხან დამამზადებული, ხან რევიზორი. ისე რომ, სოფელში ჭკუისსაკითხავ კაცად ითვლებოდა. ოთხი შვილი ჰყავდათ: ვალიკო, ლამარა, შოთა და ვანო. ბიჭებმა, ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო. ვალიკო ლაგოდეხში დასახლდა. შოთა ბიკაშვილს კი ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობდნენ (ნათელში იყოს მისი სული). ოთხ ათეულ წელზე მეტი იმუშავა გაზეთ „შირაქში“, იყო რედაქტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. უაღრესად ერუდირებული და განათლებული, მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნება. ჩვენ დროს ასეთ კაცზე ამბობდნენ „ენციკლოპედიააო“ მართლაც რა საკითხზეც გინდა დალაპარაკებოდი, კომპეტენტურ პასუხს მიიღებდი – იქნებოდა ეს ხელოვნება, კინო, სპორტი ხომ... მისთვის დიდი ზეიმი იყო, თუ სპორტზე რაიმეს შეეკითხებოდი. გაზეთშიც სპორტულ ამბებს ის უძღვებოდა. სპეციალობით ზოოვეტერინარი იყო, მაგრამ ყველაფერში ერკვეოდა. უძლიერესი მეხსიერება ჰქონდა. მას არაფრით ჩამოუვარდებოდა უმცროსი ძმა – ვანო. ისიც ზოოვეტერინარი გახლდათ. რუსეთში ივანოვოში დაამთავრა უნივერსიტეტი (მაშინ ეს დიდი პრესტიჟი იყო). სოფელ წითელწყაროს და ქალაქ წითელწყაროს კოლმეურნეობებში მუშაობდა თავისი სპეციალობით. ასე რომ, წიგნიერება ბიკაშვილებს ოჯახური ტრადიციიდან მოსგამდათ.

14 ივლისს ნაზი მოსაშვილს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი მამუკა ყავრელიშვილი, მისი მოადგილე თამარ ხარაშვილი, მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორი მანანა მაჭარაშვილი, ბიბლიოთეკარი მარგო იაკობიშვილი, ცენტრის კოორდინატორი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია ბოსტაშვილი და მირზაანის ბიბლიოთეკარი შორენა წიკლაური ესტუმრნენ და წიგნები გადაიბარეს.

შორენა წიკლაური: - „წიგნებს თვალი რომ გადავავლე, ძალიან გავიხარე, ისეთი გამოცემები ვნახე. დიდი მადლობა ქალბატონ ნაზის ასეთი საჩუქრისთვის. მე ამ წიგნებს ცალკე კუთხეს გამოვუყოფ და აუცილებლად გავუკეთებ ტრაფარეტს შემომწირველის და იმ ადამიანის შესახებ, ვისაც მიეძღვნა ეს შემოწირულობა, რათა ყველამ გაიგოს ამ კეთილი საქმის შესახებ.

მამუკა ყვარელიშვილი: - წიგნის გაცემა ცოდნის გაზიარებაა და ისეთივე სარგებლის მომტანი საზოგადოებისათვის. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ შეელიო შენს წიგნად ფონდს, რომლის შეგროვებასაც წლები მოუნდი, ადვილი არ არის. როდესაც ქალბატონი ნაზის გადაწყვეტილების შესახებ შევიტყე, თან გამიკვირდა და თან გამეხარდა, მაგრამ, როდესაც ამ ქმედების მიზანი გავიგე, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ყველაფრის საფუძველი სიყვარული ყოფილა. ქალბატონმა ნაზიმ ამ ქმედებით ხაზი გაუსვა მისი გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას და პატივისცემას. მისი საქციელი მისაბაძია. მას მე დიდი ხანია ვიცნობ და ყოველთვის საღად მოაზროვნე, კრეატიული ადამიანი იყო. ის ჩვენი რაიონის ერთ-ერთი გამორჩეული და დამსახურებული ადამიანია. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მას ამ ქველმოქმედებისთვის. როგორც მირზაანის ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, ამ წიგნებს გამორჩეულ ადგილს მიუჩენს და მკითხველის ყურადღებას მის შემომწირველზე გააკეთებს. ახლა ბიბლიოთეკას მერის წარმომადგენლის შენობაში ერთი ოთახი გამოეყო, სამომავლოდ კი ახალი შენობის აშენებაც იგეგმება. ისე, რომ, ეს წიგნები სრულ ბრუნვაში ჩაეშვება. მიხარია, რომ ძალიან საინტერესო ლიტერატურაა წარმოდგენილი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქალბატონ ნაზი მოსაშვილს. ჯანმრთელობას და კვლავაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას ვუსურვებ“.

ძვირფასო მკითხველო, როდესაც ამ წერილს ვწერდი, ფეისბუქში ვნახე სტატუსი, თუ როგორ გადაურჩინა შვილი გერმანელმა მწვრთნელმა ტუხელმა თავის ფილიპინელ მსახურ ქალს, რომელსაც ოპერაციის ღირებულებაც გადაუხადა, რეაბილიტაციაშიც დაეხმარა და ცხოვრების გზის გაკვალვაშიც წააშველა ხელი. სტატუსს ათასობით გამოხმაურება ჰქონდა. ყველა დადებითად აფასებდა მწვრთნელის საქციელს და აქებდა მას. გთავაზობთ ერთ-ერთი ქალბატონის გამოხმაურებას: „ჩემი აზრით, სიკეთის ნიჭი თანდაყილილია, იქნებ გენეტიკური, იქნებ უფლისგან ბოძებული, თორემ ჩვენს გარშემო რამდენ ვინმეს აქვს ქონება თავზე საყრელად, მაგრამ გაჭირვებულებსკენ არც იყურება. უფალმა დალოცოს ყველა სიკეთის გამცემი“.

ამით ერთხელ კიდევ მინდა ვთქვა, რომ სიკეთე გადამდებიცაა და მივბაძოთ ერთმანეთს სიყვარულსა და სიკეთის კეთებაში. ნუ დავინანებთ მცირედით მაინც შევეხიდოთ გაჭირვებულებსა და უპოვარებს. უფალი ათმაგად დაგვიბრუნებს.

ჩემის მხრივ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნაზი მოსაშვილს, დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ მას.

ნაირა გორაშვილი

ბებოს ორი სიცოცხლე და სიხარული

ნია



ალექსანდრე

ქიზიყი

ჩვენს ცნობიერებაში აქტიურად არის დამკვიდრებული წარმოდგენა საქართველოს ძირძველ კუთხე ქიზიყზე, რომ იგი ზოგადად კახეთია და წოდება „ქიზიყი “ ადგილობრივთა აკვიატებული ახირებაა. არათუ ზეპირმეტყველებაში, არამედ უკვე საჯარო ოქმებსა, თუ აქტებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში ქორონიმად გამოყენებულია სიტყვა კახეთი. საკითხისადმი ზერელედ მიმდგომებს ამის დასმტკიცებლად მოყავთ არაერთი მაგალითი. ქიზიყი – წოდება: კახეთის სამეფო, კახეთის გუბერნია, კახეთის მხარე და ა.შ. მოდით, ვნახოთ ლიტერატურული რეალობა როგორია და ისტორიულ ფაქტებს ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ. ჩვენს ყველაზე ძველ ისტორიულ ქართულ წყაროებს წარმოადგენს ქართლის ცხოვრება და მოქცევაი ქართლისაი, სადაც საქართველოს კუთხეთა საზღვრებს დაწვრილებით აღწერენ. ფაქტიურად მათი მონაცემები იდენტურია. მოცემულ წყაროებში კახეთის გეოგრაფიული საზღვარი შემდეგია: (დასავლეთ-აღმოსავლეთი) არაგვის შესართავიდან ვიდრე ჰერეთამდე, (ჩრდილო-სამხრეთი) კავკასიის მთებიდან ვიდრე კახეთის მთებამდე (გომბორის ქედი). საქართველოს კუთხეთა შორის მოიხსენება შემდეგი, რომელსაც ერქვა კუხეთი. - საზღვრები: (დასავლეთ-აღმოსავლეთი) ბოსტანქალაქიდან (რუსთავი) ვიდრე ჰერეთამდე და (ჩრდილო-სამხრეთი) კახეთის მთებიდან ვიდრე ჰერეთამდე(მტკვრის ზოლი). წმიდა ნინოს ცხოვრებაშიც დაბა ბოდი ნახსენებია არა როგორც კახეთში მდებარე, არამედ კუხეთში. ხორნაბუჯის ციხეც ყოველთვის ამ კუთხის ციხექალაქადაა ხსენებული. მოგვიანებით ცამეტთაგანი ასურელი მამის დავითის გარეჯაში(გარე სჯა) დამკვიდრების მერე ქართველმა მეფეებმა კუხეთის ნახევარი გარეჯის სამონასტრო კომპლექსს შენირეს და აღნიშნულ რეგიონში მდებარე სოფლები სხვა დანარჩენი გადასახადებიდან გაათავისუფლეს. სახელიც აქედან დაერქვა: საგარეჯო (სა-გარე-შჯოდ), დარჩენილ ნახევარს დიდი ხანია უკვე ქონდა მეორე სახელი კამბეჩოვანი, რაც დღევანდელი ამ მხარის ზუსტი წოდებაც არის. ეს სახელი ანტიკური დროიდან ფიგურირებს, მას სტრაბონი და პლუტარქე “კამბისენად” ახსენებენ(ლათინურად ფონეტიკური წარმოთქმით), თხრობაში პომპეუსის ლაშქრობა. ეს საკითხი ნივთმტკიცებულებით არ დასტურდებოდა. ბოლო წლებში ჩატარებულმა გათხრებმა ეს ცხადყო. დედოფლისწყაროს ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ამის აღმმნიშვნელი მასალები, კერძოდ რომაელი ცენტუნიორის მუზარადი. ქართულ წყაროებში ეს მხარე მოგვიანებითაც ამავე სახელწოდებით კამბჩოვანით იხსენება, მთელი რიგი პერიოდი ვახტანგ გორგასლიდან თამარ მეფის დრომდე და მერმეც ვიდრე მე-16 საუკუნემდე.

გავიხსენოთ მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი, დავით ულუს ერთგული მოხელე, მახატლიძე-ბერი ხორნაბუჯელი სწორედ კამბეჩოვნის ერისთავია. სამწერლობო წყაროებში ვხვდებით არსენ საფარელთან, ლეონტი მროველთან, ჯუანშერთან და სუმბატ დავითის ძესთან. სიტყვა ქიზიყი გვიანდელია და უკავშირდება ყიზილბაშობის პერიოდს. არაერთი შემოსევის მიუხედავად ეს კუთხე თავის აქტიურ არსებობას ინარჩუნებდა. ბოლოს ირანის შაჰმა აბას I-მა 1614-1616 წლებში ლაშქრობა მოაწყო და ამ არეს სრულად გაჩეხვა ბრძანა, (ამ დროსვე მოხდა კახეთისა და კამბეჩოვნის მოსახლეობის ირანში იძულებით გადასახლება). განსაკუთრებით ვენახის და თუთნარის, რომლითაც ნედლ აბრეშუმს აწარმოებდნენ. ამის გამო ეწოდა გაჩეხილი, სპარსულად ქესიყი, ანუ დღევანდელად ქიზიყი. მიზეზიც ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმცირისა. ეს მხარე დიდხანს იყო დაცარიელებული. ამ ფაქტს შარდენიც აღწერს. წერილობით წყაროებში სიტყვა ქიზიყს ვნახულობთ მეფე-პოეტ არჩილის პოემაში: „გაბაასება რუსთველისა და თეიმურაზისა“. საქართველოს ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ქიზიყს ცალკე კუთხედ მოიხსენებს, საზღვრების ოთხივე მხრის აღწერით და მის სოფელთა ჩამონათვალს გვთავაზობს, რომელი ნუსხითაც შემდგომ ერეკლეს შვილიშვილი სარგებლობს. 1640 წელს რუსთა ელჩი თავადი მიშეცკი, სიღნაღის კონცხსა და მაღაროს მაღლობებს ქიზიყს უწოდებს, რომელთა კალთებზე აღნიშნული წლის 6 აგვისტოს ღამე გაათენა რუსთა საელჩომ. მე-18 საუკუნის მიწურულს იოანე ბატონიშვილი მეფე ერეკლეს დავალებით ქართლ-კახეთის (არამხოლოდ) სამეფოს სოფლებს აღწერს. მათ შორის ქიზიყს ცალკე თავი მიუძღვნა, რომელშიც შემდგომ დასახლებებს ჩამოთვლის: „ქისიყი და მისი ხეობა... ასანაური. ჯუგაანი,ტიბაანი, პრასაანი, ბედიყურა,ხირსა, ძველი ანაგა, ქუნბათი. ყოლანთო, ნიკორწმინდა ანუ ნიკორციხე(დღევანდელი ელიას მთის მახლობლად. ლ.ფ.), ხორნაბუჯი ანუ ქოეთი-ძველი ნაქალაქევი, ყარაღაჯი - ზამთრის სამეფო სასახლე, ცლუკაანი, არბოშიკი, მირზაანი ანუ მირტაზანი, ჩობანდაღი, ჯაღათა, ბეზირგანბულაღი, ყუშები, ხირსისხევი, ნაზარლები, ჩანკაანთ საყდარი, ბურდომთა, სიჩახინი, ბუზაურისხევი, ჟოჟუას მარანი, ზილიჩა, ახტაში, მაჩხაანი, ბოდბისხევი, ქედელი, ბოდბე, ფანიანი, მაღარო, ნუკრიანი, ჭოტორი, ქალაქი სიღნაღი, ბაიდარაანი, ანაგა, როჭიკაანთ ყურე, ვაქირი, ურდო, მაშრაანი (მაშნაარი), ჯიმაანთ ოლე, საქობო“. ამ ჩამანათვალთან ხაზგასმით აღნიშნავს კახეთის და ქიზიყის საზღვარ გამყოფ სოფლებს. ქიზიყიდღეისობით ეს გამყოფი კარდანახია. მეფე ერეკლე ქიზიყს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს და ამ კუთხის შვილებსაც ბრძოლის ველზე საგანგებო ვითარების დროს(რთულ გადამწყვეტ პერიოდში) რთავდა. არაერთი ხალხური მოგონებაა შემონახული მეფე ერეკლეს და ქიზიყელთა ურთიერთობისა. ასევე წერილობითი ნიმუშები. ანაგელი გლეხი მეფე ერეკლეს წერს: (კახელი თავადები. ლ.ფ.)...მედავებიან „ჩემი ყმა ხარო, ამდონი თქვენი წყალობა იყოს,რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ, თქვენს ქიზიყს მობრძანებამდინ სამნივ დამეხსნან, ნუმცა ერთი ნუ ამყრიან ანაგიდან“. მე-19 საუკუნესა და მე-20 მიჯნაზე იაკობ გოგებაშვილი საქართველოს კუთხეთა დაწვრილებით აღწერისას კახეთს გეოგრაფიული საზღვრებით, ყოფა-კულტურით ნიშანთვისებით ცალკე აღწერს კახეთს, ცალკე ქიზიყს. ასევე ტერმინ ქიზიყს კუთხის აღმნიშვნელ სახელად იყენებს წარმოშობით კახელი ფეოდალი დიდი საზოგადო მოღვაწე წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე). მე-20 საუკუნეში დავით მუსხელიშვილი ქიზიყს ცალკე კვლევას უძღვნის სადაც მას კუთხედ სახელდებს (იხილეთ მისი „ქიზიყის ძველი ისტორია“). ზოგადად ყველაზე ვრცელი ნარკვევი სწორედ აღნიშნულ მკვლევარს აქვს დაწერილი, რაც საფუძვლიან წარმოდგენას უქმნის დაინტერესებულ მკითხველს. ისვე განმარტავს ვახუშტისთან და იოანე ბატონიშვილთან დასახელებულ თურქული ტოპონიმის მქონე სოფელთა რაობას. დღევანდელ დღეს ამ კუთხეს ორი რაიონი წარმოადგენს: სიღნაღის (ქალაქ სიღნაღით) და დედოფლისწყაროსი(ამავ სახელწოდების დაბით). ჯამში 30 სოფლით და ბევრი (120) ნასოფლარით. აქვე ავღნიშნოთ რომ შირაქის ველზე ნაპოვნია უძველესი ქალქი რომლის გალავანზე საბრძოლო ეტლი გაივლიდა. დალისმთის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი გორასამარხები და გორანასხლარები. ზოგადად კი შირაქ-ტარიბანის ველებზე ჯერაც შესასწავლი ნამოსახლარებია. ამ კუთხის ისტორიული კულტურული ფონდი: ვაშლოვანის ნაკრძალში შემონახული ცოცხალი მასალა, პირველ სახენი ხორბლისა და ყურძნისა, რომელთაც ადამიანმა კულტურული სახე მისცა. სიძველით მას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. ბრინჯაოს დამუშავება, ტარიბანას ველებზე ნაპოვნია ნასახლარები, ყორღან-სამარხები და სამჭედლო საამქროები. იქ მოპოვებული გადამუშავებული ნედლეული წიდის სახით და მიღებული ნაკეთობანი, დაცული თბილისის სახელწიფო და დედოფლისწყაროს ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. ცნობილი ბრინჯაოს „კახური“ ხმლები სწორედ აქ იწარმოებოდა. ბოლო წლებში ერთი ნიმუში ჩინეთში იქნა აღმოჩენილი, რაც ადასტურებს აქ გამავალ აბრეშუმის გზას. შემორჩენილია უძველესი თუთის ხის ნაშთები, აქ მოყვანილი და ზემოთ უკვე აღნიშნული ფაქტით ვლინდება რომ აბრეშუმის დამზადება ევროპაზე გაცილებით ადრე იყო ნაცნობი. უძველესი დროიდან დახვეწილი იყო მეთუნეობა, რასაც ადასტურებს მისი მდიდარი-მრავალფეროვანი ფონდი. ბევრ საინტერესო თავისებურებასთან ერთად ავღნიშნოთ რომ ვიდრე მე-20 საუკუნემდე სოფლის მეურნეობაში მეტად საკუთრივი წესი ქონდათ. ქიზიყის სოფლებში ბოსელ-გომურები საცხოვრის სოფლიდან მოშორებით ცალკე სასაქონლო „სოფლად“ იყო, რაც მაღალ კულტურაზე მეტყველებს (ცნობა იხილეთ იაკობ გოგებაშვილთან)

ტერიტორიული ფართითაც ქიზიყ-კამბეჩოვანი უფრო დიდია ვიდრე კახეთი, იმის გათვალიწინებითაც, რომ კახეთის რუქას თუშ-ფშავ-ხევსურეთი გამოსაკლები აქვს. კვლავ გავიმეორებ საქართველოს ბევრ კუთხეს არაა აქვს ისეთი მკვეთრი გეოგრაფიული საზღვარი, როგორც ქიზიყ-კამბეჩოვანს. საბოლოოდ: გაურკვეველ მიზეზთა გამო დამკვიდრებული ქორონიმის არასწორი წოდება კვლავ მართებულით-კამბეჩოვნით ჩავანაცვლოთ. არაკორექტული იქნება ამის ვიწრო კუთხურშოვინიზმად აღქმა. ამგვარი ხედვა ლახავს ისტორიულ მემკვიდრეობას. საქართველოს სხვადასხვა კუთხენი ქვეყანას თავის ინდივიდუალურ მრავალფეროვნებას მატებს, რაც კულტურული ფასეულობაა.

ლამარა ჭუჭულაშვილი, ნაზი მოსაშვილი და ნაირა გორაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ფიქრია ალიკოშვილის და მარლენ კვაჭანტირაძის ოჯახს მძახლის

ნელი ლომაძის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა ქ. თბილისში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გურჯაანის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში მაჟორიტარ პარლამენტის წევრს ბატონ დავით სონღულაშვილს სიმამრის

ნუგზარ მაღულარიას

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, საკრებულოს წევრები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გურჯაანის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში მაჟორიტარ პარლამენტის წევრს ბატონ დავით სონღულაშვილს სიმამრის

ნუგზარ მაღულარიას

გარდაცვალების გამო.

ჯარიმები ნაკვეთის დაწვისთვის

სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის დაწვა 500-დან 1300 ლარამდე ჯარიმით ისჯება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვის მავნე პრაქტიკა, რომელსაც სამწუხაროდ, ფერმერები დღემდე იყენებენ, საფრთხეს უქმნის ქარსაფარ ზოლებს და ტერიტორიის ახლომდებარე ინფრასტრუქტურას; იწვევს ნიადაგის თვისებების გაუარესებას, ნაყოფიერების დონის შემცირებას და საბოლოოდ, ნიადაგის დეგრადაციას; ფერმერებისგან გაჩენილი ხელოვნური ხანძრები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, ბიომრავალფეროვნებას, იწვევს გაუდაბნოებას.

შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვა კანონით აკრძალული ქმედებაა. სამართალდარღვევა, გარემოებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს 500-დან 1300-ლარამდე ჯარიმას, რასაც გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხაც ემატება.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები მკაცრად გააკონტროლებენ იმ ტერიტორიებს, სადაც მსგავსი ქმედების ჩადენის რისკი არსებობს. სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სტატისტიკის მიხედვით, გარკვეული ფერმერების უპასუხისმგებლო ქმედებით, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დაწვის შედეგად გაჩენილი ხანძრით, ათობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწაა გადამწვარი და რამდენიმე ათეული კილომეტრი ქარსაფარი ზოლია განადგურებული.

დასუფთავების აქცია ელიაზე

სამოქალაქო აქტივიზმი დედოფლისწყაროში – 16 ივლისს ადგილობრივმა მოხალისეებმა „ელიას“ მთის ნაძვნარი დაასუფთავეს. აქცია სოციალირ ქსელ ფეისბუქში მას შემდეგ დაიგეგმა, რაც დაბინძურებული ტერიტორიის ფოტოები გავრცელდა.

როგორც აქციის ერთერთმა ორგანიზატორმა გიორგი ხუციშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ფეისბუქში დანაგვიანებული ნაძვნარის ფოტოების გავრცელებამ ბევრი ადამიანის აღშფოთება გამოიწვია და აქედან გაჩნდა იდეა, რომ მოხალისეთა ჯგუფი გაერთიანებულიყო და დასუფთავების აქცია საკუთარი ძალებით ჩაეტარებინათ. დაანონსებულ აქციას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა და დაუდევარი ადამიანების მიერ დაყრილი ნაგავი მოაგროვეს.

მოხალისეები სამოქალაქო თვითშეგნების აუცილებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას, გარემოს დაბინძურების ასეთ ფაქტებს გმობენ და მიიჩნევენ, რომ რეკრეაციულ ზონებს ყველა ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს. ელიას მთა ტურისტულ მარშრუტში შედის, ამდენად დანაგვიანებული გარემო დედოფლისწყაროს იმიჯს მნიშვნელოვნად აზიანებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს დედის

ნანა ჭაჭუკაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, საკრებულოს წევრები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს დედის

ნანა ჭაჭუკაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყარო ლიდერობას არ თმობს

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია ტრადიციულად ფინალურ შედეგებს ცხელ დღეებში გვაცნობს. გაირკვა, რომ გასული წლის მსგავსად, ამჯერადაც ლიდერ პოზიციებზე არიან დედოფლისწყაროდან ჩართული სასკოლო ეკოკლუბები. უფრო მეტიც, ეპარქიის სკოლა ავტომატურად მოხვდა ფინალში, სწორედ მაღალი ქულებით. ასევე ფინალშია დედოფლისწყაროს №2-ე სკოლაც. ნახევარფინალში დედოფლისწყაროდან 4 სკოლა იბრძოდა, რომელთაგან სამრეკლოსა და დედოფლისწყაროს №1 სკოლები ფინალში ვერ მოხვდნენ. 18 ივლისს, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის დარბაზში კონკურსის ნახევარფინალი შედგა. გამოვლინდნენ მორიგი ფინალური ტურის მონაწილეები, ამჯერად უკვე თბილისისა და კახეთის სკოლებიდან.

ფინალში გადავიდნენ:

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა; საგარეჯოს სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის საჯარო სკოლა; გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლა და ქ. თბილისის N169 საჯარო სკოლა. მაღალქულიანობის პრინციპით, წინასწარი შერჩევით ფინალში ავტომატურად მოხვდნენ: დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელოგის სკოლა-ინტერნატი და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ძველი ანაგის საჯარო სკოლა;

ნახევარფინალურ შეხვედრაში მონაწილე და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ სკოლებს **CENN**-მა, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მხარდაჭერით, სასაჩუქრე ნაკრები და სპეციალური პრიზები გადასცა. ასევე, სკოლებს სპეციალური პრიზები გადასცეს ჟურნალმა **„National Geographic** საქართველომ“ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF).

კახეთის ნახევარფინალური შეხვედრა ორგანიზებული იყო ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის, ასევე, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი, **CENN**-ის მიმდინარე პროექტის- **„EU4Youth:** სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება **(SEED)** მწვანე ზრდისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2015 წლიდან **CENN**-ის მიერ, პროექტის — ტყის მდგრადი მართვა სოფლის განვითარებისათვის — ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება . კონკურსის თანაორგანიზატორები არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი.

გაზეთი „შირაქი“ გასულ წლებშიც ესწრებოდა რეგიონული დაჯილდოების ცერემონიას. ამჯერადაც, ფინალში გადასულ კლუბებს გავესაუბრეთ და წელს გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში ვთხოვეთ.

ევგენია ხუციშვილი *(კლუბ „ეკოლოგების“ ხელმძღვანელი, საპატრიარქოს სკოლა):* „გარემოსდაცვითი კონკურსში დღემდე 1000-ზე მეტმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა. ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ

გორგასლის სახელობის სკოლა–ინტერნატი კი წელს პირველად შეუერთდა ამ კონკურსს. შევქმენით ეკოკლუბი „ეკოლოგები“. კონკურსის მთავარი მიზანია, სკოლის მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დაანახოს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. მაღალი ქულების საფუძველზე გადავედით ფინალში ავტომატურად. ბარიერი იყო 400, ჩვენ გვქონდა 6700 ქულა. ანუ, აქტივობებს ვახორციელებდით, რითაც ქულები და ნერგები გვეწერებოდა. მოსწავლეების გვერდში დგომით, ჯგუფურობით, სკოლის მხარდაჭერით მივიღეთ ეს შედეგი. სხვა შემთხვევაში ამდენი აქტივობის განხორციელება გაგვიჭირდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ეკოკლუბ „ეკოლოგების“ წევრებმა განახორციელეს აქტივობები ბუნებრივი და სოციალური გარემის სასიკეთოდ. ისინი სწავლობდნენ და ასწავლიდნენ თანატოლებს, პატარებს. არაერთი გარემისდაცვითი და სოციალური ღონისძიება ჩავატარეთ: გვქონდა დასუფთავების აქციები, მეორე სიცოცხლე აჩუქეს პლასტმასის ბოთლებს, პოლიეთილენის პარკებს, პლასტმასის სახურავებს. მნიშვნელოვანია სკვერი, რომელიც ძირითადად მეორადი ნარჩენების საშუალებითაა გაკეთებული. ხელოვნების მასწავლებლის დახმარებით მოხატეს სკოლის ეზოში მესერი. შეაგროვეს მაკულატურა, სურვილი აქვთ ჩააბარონ და ბიბლიოთეკას შემატონ ახალი წიგნები. დაეხმარნენ გაჭირვებულ ოჯახებს, ასევე დახმარება გაუწიეს უკრაინელებს... მთელი წლის განმავლობაში სკოლის საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული ამ საქმიანობაში. სკოლის დირექტორმა, თეა სხირტლახემ და პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა არ დაიშურეს ძალისხმევა ეკოკლუბის და სკოლის წარმატებისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო მათ ამისთვის.

ეკოკლუბის წევრები მნიშვნელოვან პროექტებად თვლიან ბზის გადარჩენის კვირეულს. ვიცით, რომ ბზობის დღესასწაულზე უამრავი ბზა იჭრება, ან ამტვრევენ ტოტებს. სკოლის ეზოში მოსწავლეებმა გასხლეს, დააფესვიანეს ბზის ტოტები და ბზობაზე დაურიგეს ადამიანებს. ბზა გადაშენების პირასაა და მას მოფრთხილება სჭირდება. ასევე მეუფე დიმიტრი ყოველთვის სთხოვდა, რომ დაეფესვიანებინათ ბზები და ბზობის დღესასწაულზე მათი ნერგები მოეტანათ.

სასკოლო პრემიაში კახეთის რეგიონიდან წელს ჩართული იყო 50-მდე სკოლა. ეროვნული მასშტაბით 5 ავტომატურად ფინალში გადასული სკოლიდან 2 კახეთიდან არის და ყველაზე მაღალქულიანი 2 სკოლაც კახეთიდან აღმოჩნდა. ერთ-ერთი გახლავთ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატი. მაგრამ გამარჯვებისთვის ჯერ ფინალი გველოდება, რომელსაც ვეცდებით წარმატებით გავართვათ თავი. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი კლუბის წევრებს: ელენე სესიტაშვილს, საბა პირზადოვს, თეკლა ცაკაშვილს, გიორგი კოჭლამაზაშვილს, მარიამ გიგოლაშვილს, ანასტასია ჯამასპიშვილს, ქეთევან ყაჭაშვილსა და მარიამ კვესაძეს.

კონკურსის მიზნები ჩვენს წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე, კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. სწორედ ამიტომ ჩავერთეთ, რომ მოსწავლეებს უკეთ გაეთავისებინათ დღევანდელობა, სასკოლო ცხოვრების გარდა ჩართულიყვნენ სხვა და სხვა პროექტებში, ესწავლათ და ესწავლებინათ თანატოლებისთვის. ესწავლათ ხალხთან კომუნიკაცია. განგვეხორციელებინა თემისთვის სასარგებლო აქტივობები. მიგვაჩნია, რომ გამარჯვება არ არის მხოლოდ შედეგი. არამედ, ის არის უნარი, რომელიც მხოლოდ ძალიან დიდი შრომის, მონდომებისა და მრავალი მცდელობის შემდეგ გამომუშავდება. თელავში წარდგენილი ჩენი პრეზენტაცია ამ ფრაზით სრულდებოდა“.

მეორე საჯარო სკოლის ეკოკლუბი კონკურსის ფინალში გასულ წელსაც მოხვდა, თუმცა საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა. ამის მიუხედავად, კლუბი შარშან ჟიურის რჩეული გახდა. მერიისგან კი ექსკურსიით დასაჩუქრდნენ.

ნონა ტოკლიკიშვილი: „ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ეკოკლუბი „შექმენი მომავალი“ 2019 წლიდან დღემდე აქტიურადაა ჩართული ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიაში. ეს პროექტი გვაძლევს არაერთ საშუალებას განვახორციელოთ და გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომ შევქმნათ ჩვენთვის, თქვენთვის უკეთესი მომავალი. ამ პროექტის მიზანია, მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით, ზიანი არ მივაყენოთ იმ გარემოს, სადაც ვცხოვრობთ. გარემოზე ზრუნვა კი ჩვენი ეკოკლუბის მთავარი მოტივი გახდა. სწორედ ამიტომ 2022 წელს ჩვენი საქმიანობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის წლად გამოვაცხადეთ. აქტიურად ჩავერთეთ ქურციკების მონიტორინგში, ამ საკითხში განსაკუთრებული დახმარება გაგვიწიეს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან: ნინო სეთურიძემ, ვაჟა ჩერქეზიშვილმა და ვაჟიკო ყოჩიაშვილმა. ერთ განხორციელებულ აქტივობას მეორე მოჰყვება, როცა ასე ახლოს ხარ ბუნებასთან, ძნელია შეჩერდე. როცა აცნობიერებ, რომ შენი დამოკიდებულებით შეგიძლია სარგებელი მოუტანო დედამიწას, ეს უფრო მეტ მოტივაციას გაძლევს. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა კი ისაა, რომ ამ საქმეში მოსწავლეები გიდგანან გვერდში, მათგან უამრავი რამის სწავლა შეიძლება. მე თვითონაც ეკოკლუბის წევრად ვთვლი თავს და არა როგორც პედაგოგი, ან ხელმძღვანელი. სწორედ ეს არის ჩვენი ეკოკლუბის ძლიერი მხარე და არა მარტო, ეს ჩვენი სკოლის უდიდესი დამსახურებაა, რადგან ჩვენი საქმიანობა გუნდური მუშაობის პრინციპზეა დამყარებული. შეუძლებელია ყველა ის აქტივობა ჩამოვთვალოთ, რითაც ჯერ ნახევარფინალში, ხოლო 2022 წლის 18 ივლისს, თელავში ჩვენი ეკოკლუბის პრეზენტაციის წარდგენით ფინალში მოვხვდით.

ფინალისთვის ვფიქრობთ უფრო მეტი ადამიანი ჩავრთოთ ნიკო კეცხოველის პროექტის ფარგლებში, რათა ვიგრძნოთ და გავითავისოთ, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია“.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: 2022-2023 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

სწავლების ვადა 2 წელი.

* მედდის საქმე;
* სამეანო საქმე;
* ფარმაცია;
* სამართალმცოდნეობა;
* ფინანსები და ეკონომიკა;
* ბიზნესის მენეჯმენტი;
* ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
* ორთოპედიული სტომატოლოგია;
* საბავშვო ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი (ძიძა);

გაიცემა ორენოვანი დიპლომი მუშაობის უფლებით.

სწავლების ვადა 1 წელი.

* ექთნის თანაშემწე;
* მოლარე-ოპერატორი;
* ბუღალტერი;
* სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი;

გაიცემა ორენოვანი სერთიფიკატი.

სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი, განცხადება (ადგილზე).

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. № 40 ***(არქივის შენობა II სართული).***

ტელ: 599 74 73 98, 555 20 04 35; 593 96 68 33, 574 20 20 92;

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 25.07		სამშაბათი 26.07		ოთხშაბათი 27.07		ხუთშაბათი 28.07		პარასკევი 29.07		შაბათი 30.07		კვირა 31.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26°	15°	27°	16°	28 °	18 °	28 °	20 °	29°	19 °	28°	20°	29°	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.